განკარგულება:**g-19. 19261493**
თარიღი:**29/05/2026**

განკარგულება №50

გარდაბნის მუნიციპალიტეტის წარმატებული სპორტსმენის საბა ფურცელაძისა და მწვრთნელის გოდერძი ჯოხაძის დაჯილდოების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 24–ე მუხლის მეორე ნაწილის, „გარდაბნის მუნიციპალიტეტის 2026 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ გარდაბნის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის 26 დეკემბრის №16 დადგენილების, „გარდაბნის მუნიციპალიტეტის წარმატებულ სპორტსმენთა და მწვრთნელთა დაჯილდოების წესის დამტკიცების შესახებ“ გარდაბნის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 30 აპრილის №9 დადგენილებისა და საქართველოს ჭიდაობის ეროვნული ფედერაციის 2026 წლის 4 მაისის №103 წერილის შესაბამისად, გარდაბნის მუნიციპალიტეტის საკრებულომ

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა :

მუხლი 1

„გარდაბნის მუნიციპალიტეტის 2026 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ გარდაბნის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის 26 დეკემბრის №16 დადგენილების შესაბამისად, გარდაბნის მუნიციპალიტეტის წარმატებული სპორტსმენის - საბა ფურცელაძის ერთჯერადად დაჯილდოების მიზნით, გამოიყოს 1000 (ათასი) ლარი ბიუჯეტის „წარმატებულ სპორტსმენთა და მწვრთნელთა დაჯილდოების ხარჯებიდან“ და მწვრთნელის - გოდერძი ჯოხაძის ერთჯერადად დაჯილდოების მიზნით, გამოიყოს 500 (ხუთასი) ლარი ბიუჯეტის „წარმატებულ სპორტსმენთა და მწვრთნელთა დაჯილდოების ხარჯებიდან“.

მუხლი 2

გარდაბნის მუნიციპალიტეტის მერმა უზრუნველყოს თანხის გადარიცხვა უნაღდო ანგარიშსწორებით, სპორტსმენისა და მწვრთნელის პირად საბანკო ანგარიშებზე:
საბა ფურცელაძე - 1000 (ათასი) ლარი, [redacted]
გოდერძი ჯოხაძე- 500 (ხუთასი) ლარი, [redacted]

მუხლი 3

განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

მუხლი 4

განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს რუსთავის საქალაქო სასამართლოში (ქ. რუსთავი, ბოსტანქალაქის ქ.№6) საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 22-ე მუხლის მე-3 ნაწილით დადგენილი წესით.

მიხეილ გედეხაური

გარდაბნის მუნიციპალიტეტის საკრებულო-
საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი